

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი
აცხადებს

კონკურსს

VICTORIA

ლათინურ ენასა

და

ძველ ბერძნულ ენაში

კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 20 ივლისს 12 საათზე.

ორი საუკეთესო კონკურსანტი დაჯილდოვდება მოგზაურობით გაო-კლარჯვისა და ძალისაში, მომდევნო ორ ადგილზე გასულებს გადაეცემათ ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამა “ლოგოსის” ვაუჩერები “ლოგოსის” გამოცემების შესაძენად. გამარჯვებულებს გადაეცემათ დიპლომებიც.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს (კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს მიეცემათ შედარებით რთული ტესტები).

ლათინურ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შემდეგი მასალის ცოდნა:

კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს წიგნიდან: მ.ფსაკაძე. *ლათინური ენა*. თბილისი, 1984, მათ შორის შემდეგი მასალისა: *არსებითი სახელი (5 კანკელეობა), მდებარეობის სახელები, ხარისხთა წარმოება, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები (მათ შორის: is, ea, id; hic, haec, hoc; ille, a, ud; ipse, a, um; quis, quid; qui, quae, quod; idem, eadem, idem; nemo, nihil), წინდებულები და მათი ბრუნვები, მზნა: უღლება ყველა დროში, გვარსა და კილოში, esse და posse მზნების უღლება, დეპონენტური მზნების უღლება, სუბინუმი, გერუნდიუმი, მიმლეობები, დაკავშირებული მიმლეობა (participium coniunctum), სინგაქსური კონსტრუქციები: nom. duplex, nom. cum infinitivo, gen. obiectivus, gen. partitivus, gen. qualitatis, dat. commodi, dat. duplex, dat. finalis, dat. possessivus, acc. duplex, acc. cum inf., acc. temporis, abl. absol., abl. auctoris, abl. causae, abl. comparationis, abl. instrumenti, abl. loci, abl. separationis, abl. temporis; ასევე, cum-იანი და ut (ne) კონსტრუქციები; si realis, si irrealis, si potentialis.*

სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს მოეთხოვებათ გრამატიკული მასალის და სენტენციების ცოდნა წიგნიდან: ი.ვაგუა, ე. გამყრელიძე. *Lingua Latina*. თბ., 2007.

ტესტი შედგება 7 კითხვისაგან: 7 სენტენცია (14 ქულა), სენტენციის გამოცნობა (3), ლათინურიდან მომდინარე საერთაშორისო ტერმინოლოგია (4), ერთი მცდარი ფორმის გასწორება (4), სინგაქსური კონსტრუქციის გამოყენება (10) და თარგმანი ქართულიდან ლათინურ (35) და ლათინურიდან ქართულ (30) ენებზე.

ძველ ბერძნულ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შემდეგი მასალის ცოდნა:

კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს სენტენციები და გრამატიკული მასალა წიგნიდან: ქ.აბესაძე. *ძველი ბერძნული ენა*. თბ., 1999; მ. მჭედლიძე. *Πολιτεία. ძველი ბერძნული ენა და მწიგნობრობის*. თბ., 2012. გრამატიკული მასალა წიგნიდან: ა. ურუშაძე. *ძველი ბერძნული ენა*. თბილისი, 1969.

სხვა ფაკულტეტების, კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის I კურსის სტუდენტებს – გრამატიკული მასალა და სენტენციები წიგნიდან: ქ.აბესაძე. *ძველი ბერძნული ენა*. თბ., 1999 (30 პარაგრაფი); მ. მჭედლიძე. *Πολιτεία. ძველი ბერძნული ენა და მწიგნობრობის*. თბილისი, 2012.

ტესტი შედგება 7 კითხვისაგან: 5 სენტენცია (10 ქულა), კროსვორდის შევსება (7), ძველი ბერძნულიდან მომდინარე საერთაშორისო ტერმინოლოგია (4), ერთი მცდარი ფორმის გასწორება (4), სინგაქსური კონსტრუქციის გამოყენება (10) და თარგმანი ქართულიდან ძვ.ბერძნულ (35) და ძვ.ბერძნულიდან ქართულ (30) ენებზე.

შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით, ქულების მინიმალური ოდენობაა 71 ქულა. თუკი ყველაზე ძლიერი მონაწილე მხოლოდ 70 ქულას დააგროვებს, კონკურსის გამარჯვებული არ ეყოლება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა პირადად უნდა წარმოადგინონ ან ელექტრონულად გადმოგზავნონ

(ა) პირადობის მოწმობის ან სტუდენტობის (მოსწავლის ბილეთის) ასლი (ქსეროქსზე გადაღებული ან დასკანერებული);

(ბ) შეავსონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (იხ. www.greekstudies.tsu.ge).

საბუთების მიღება იწარმოებს 25 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 11.00-17.00 სთ., ჭავჭავაძის პრ. 13, ოსუ VIII კორპუსი, III სართული, ს. ყაუხჩიშვილის სახ. ბიბლიოთეკა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ, ტესტების ნიმუშებს გაეცნონ შემდეგ საიტზე: www.greekstudies.tsu.ge. კონტაქტი: vakhtangr@gmail.com.